პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

14 დეკემბერი სამშაბათი 1971 წელი — ოქტ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 288 (15198)

ხუთწლედი—ვადაზე!

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დამზადებული მილები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება, მათს შორის ინდოეთში, ბულგარეთში, კუბაში, ავღანეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ვიეტნამში.

ხაწარმოს ერთ-ერთი წამყვანი უბანია მარტენის საამქრო. მისი კოლექტივი წარმატებით შრომობს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

სურათებზე: მარჯვნივ — კომკავშირელი თეიმურაზ ჯაბანაშვილი მარტენის საამქროში თბოტექნიკოსად მუშაობს. მან თავდადებული შრომით მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მარცხნივ — მარტენის საამქროს მილები.

ფოტო ა. რუხაძისა. (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

საამქროს უფროსი

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა ამ საწარმოში. აქ კარგად არის ორგანიზებული შრომა, კოლექტივი რიტმულად მუშაობს, წარმატებით ახორციელებს გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. წინათ კი იგი ჩამორჩებოდა, თვეობით ვერ ასრულებდა დავალებას, დაბალი იყო ნაკეთობის ხარისხი. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ საამქროს უფროსად არ დანიშნეს კომუნისტი მოსე ბენიძე. გონიერი ხელმძღვანელის ხელი მალე დატყუა საამქროს.

მთელ ქარხანაში ავტომატების საამქროს ერთ-ერთ პირველს მიეწია კომუნისტური შრომის საპატიო წოდება. ამაში მთელ შრომითს კოლექტივთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის საამქროს უფროსს. დანიშვნის დღიდან მას ერთი აზრი ახალდგაზრდებად — მალე დაიწყოს თავი ჩამორჩენისათვის. ვერც საწარმო ფართობის უკმარისობამ, ვერც გაზრდილმა პროგრამამ და სხვა სიძნელეებმა ვერ შეაშინა იგი. წუწუნი არ დაუწყია. საამქროს ყველა უბანზე შეისწავლა საქმის მდგომარეობა, სწორად გაანაწილა ძალები, გონივრულად მოაწყო შრომა. მეავტომატეები მალე დაწინაურდნენ. შრომითი კოლექტივი დარწმუნდა, რომ საამქროს უფროსი არა მარტო კარგი ადმინისტრატორი, ორგანიზატორი, არამედ კარგი მრჩეველი და ალმზრდელიც იყო.

ამალლდა თვითეული მომუშავის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. ყველა უბანზე მალე თავი იჩინა გაბედულმა ინიციატივამ. საგულისხმოა, რომ მთელ ქარხანაში პირველად აქ, ავტომატების საამქროში ბეტონის იატაკის ნაცვლად დაიგო ლითონის ფილებიანი იატაკი, შესაბამისი ფერებით შეიღება ელექტრობის, წყლის, შეკუმშული ჰაერის და ორთქლის გაყვანილობა, მოაწყეს დღის განათება, საკუთარი ძალებით დაამზადეს დეტალებისა და ნარჩენების გადასაზიდი სპეციალური ურიკა. ყველაფერმა ამან ამაღალა წარმოების კულტურა, მუშაობა სახალისო გახადა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. და ყველაფერი ეს გაკეთდა არა ზემოდან მითითებით, არამედ საამქროს უფროსის, შრომითი კოლექტივის ინიციატივითა და მონდომებით. უკვე რამდენიმე წელია საამქრო მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმას და აუმჯობესებს მის ხარისხს. მეავტომატეებმა კარგად დაიწყეს ახალი ხუთწლედის პირველი წელი. ათი თვის სახაჯონლო პროდუქციის გამოშვების დავალება 112 პროცენტით შესრულეს, სათადარიგო ნაწილებისა — 120 პროცენტით, ხოლო კოოპერირებული მწოდებისა — 118 პროცენტით. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ თერთმეტი თვის მუშაობის მიხედვით.

მუშაობის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ მექანიკური საამქროს უფროსი გაბო ღლონტი. იგი წარმოებაში 1958 წელს მოვიდა პროფტექნიკური სასწავლებლიდან. მუყაითი ახალგაზრდა პირველად ხარატს რთულ პროფესიას დაეუფლა, მის ნახელავს ზენს ვერავინ სდებდა. მალე ოსტატად დაწინაურეს. გაბო დარწმუნდა, რომ ზოგიერთი ოპერაციების ეკონომიურობის გამოთვლა უჭირდა. მან გადაწყვიტა სამუშაოდან მოუწყვეტლივ ესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. წარმოების ხელმძღვანელების დახმარებით ახალგაზრდა ოსტატმა უმაღლესი ეკონომიური განათლება მიიღო. იგი სულ უფრო აქტიურობდა საწარმოო გეგმების განხილვაში, ისწავლა მანეთით კონტროლი და ყველასაგან მოითხოვდა ყველაფერი წარმოების ეფექტიანობისათვის დაეკავშირებინათ.

წარმოების ხელმძღვანელობას და პარტიულ ორგანიზაციას გონიერი მუშაკის უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და იგი მალე საამქროს უფროსად დაწინაურეს. ორი წელია გაბო ღლონტი მექანიკურ საამქროს თავკაცობს და ხელმძღვანელის და ალმზრდელის საუკეთესო მაგალითს იძლევა. საამქრო მოწინავეა და უდიფექტოდ მუშაობს.

ამგვარი მაგალითები რესპუბლიკის ბევრ მოწინავე საწარმოში კვხვდება, და თვითეული მათგანი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭიროა, რომ საამქროს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდეს კარგად მომზადებული, თანამედროვე ტექნიკის მცოდნე, უნარიანი ორგანიზატორი და ალმზრდელი.

საამქროს უფროსი მოწოდებულია არა მარტო თვითონ ეძიებდეს პროგრესულ ტექნიკურ-ეკონომიურ გადაწყვეტილებებს, არამედ აგრეთვე წარმართავდეს ამისათვის მთელ თავის შრომითს კოლექტივს. ჩვენს საუუნეში, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების საუკუნეში, საუკეთესო შედეგს მხოლოდ იქ აღწევენ, სადაც განუწყვეტლივ, ფართო ფრონტით სრულყოფენ წარმოებასა და გამოშვებულ პროდუქციას.

საამქროს უფროსის ერთ-ერთი აუცილებელი საქმიანი თვისებაა მუდამ აპყრობდეს ყურადღებას წარმოების ეკონომიურ მხარეს. რა კარგადაც უნდა ერკვეოდეს ხელმძღვანელი ტექნიკის დარგში, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ამისათვის, რომ უზრუნველყოს წარმატებით მუშაობა. ტექნიკის ცოდნასთან ერთად, დღეს საჭიროა ღრმად ვერკვეოდეთ ეკონომიკის საკითხებში, დროულად და ყოველმხრივ ვუკეთებდეთ ანალიზს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და გადაბარჯვის შემთხვევაში შეგვიძლია გამოავლინოს პოვნა.

საკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ სამართლიანად არის აღნიშნული, რომ... საამქროთა და განყოფილებათა უფროსები, ოსტატები, ბრიგადირები. და მერგოლუნენი საკმარისად არ ფლობენ სამეურნეო საქმიანობის ეკონომიური ანალიზის ჩვევებს, ყოველთვის როდი შეუძლიათ დაანგარიშონ მინდობილი ბრიგადის ან შეაფასონ მუშაობის შედეგები წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის კოეფიციენტიდან.

სოციალისტური საწარმოს პირობებში წარმოების მართვის ამოცანები მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანების აღზრდასთან. საამქროს უფროსს აქ განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება. პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად იგი უშუალოდ წარმართავს სოციალისტურ შეჯიბრებას.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთ საწარმოში ჯეროვნად არ ფასდება საამქროთა უფროსების როლი, ისინი მოკლებული არიან იმის უფლებას, რომ გაათავისუფლონ მუშაკები, აგრეთვე წაახალისონ კარგი მუშაობისათვის, მათს განკარგულებაში არ არის ფონდი იმ მუშათა დაჯილდოებისათვის, რომლებმაც მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს. აგრეთვე ხშირად არ სრულდება მათი კანონიერი მითითებანი. ცხადია, ასეთი მიდგომა ლახავს საამქროს უფროსის ავტორიტეტს.

ყოველი საწარმოში არიან ძველი, გამოცდილი საამქროს უფროსები, საწარმო პროცესს უნარიანი ორგანიზატორები, მაგრამ არიან ახალგაზრდებიც, რომლებიც ჯერ არ დაუფლებიან საკმარი ჩვევებს. სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ასწავლონ მათ ყაირათიანად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გადაჭრან წარმოების საკითხები.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი იწურება. უკვე ნათელია, მომავალი წლისა და ხუთწლიანი გეგმით დასახული დიდი ამოცანები. ახლა მთავარია ღრმა ანალიზი გავუკეთოთ გაწეულ მუშაობას, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ არ შეეანელოთ შრომის ტემპი, წარმატებით გავანაგრძოთ ჯერ წლის გეგმა და ნაკისრი ვალდებულებანი, მერე კი გამართულად, რიტმულად დავიწყოთ ახალი სამეურნეო წელი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1971 წლის 14 დეკემბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესია.

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დილის 11 საათზე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

დამკვრელური შრომითს პასტაზე

შეჯიბრების მონაწილის ტრიბუნა

დაპირება შეასრულე

მუშაობის გამოცდილებას გვიზიარებს თბილისის სართავ-საბრიკოტაჟო კომბინატის მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მზია არათანაშვილი.

საკკ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს რომ გაეცნენ, მოწონავ საწარმოთა კოლექტივებმა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ხუთწლედისა და მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

მეც გადავხედე ჩემს რეზერვებს, შესაძლებლობებს და ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულება გადავწყვიტე. დანაპირების შესრულებაში ეჭვი არ მეპარებოდა, მუშაკ ყველაზე უკეთ იცის, გეგმის გადამეტებთ რის გაკეთება შეუძლია. ჩემი ინიციატივა მოიწონეს. მალე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. არ გასულა რამდენიმე დღე, და მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტის მუშაკები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ ინიციატივას. მიმდევარი ბევრი გამოჩნდა.

მუშაობის პრაქტიკიდან დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ თუ მუშა საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდება, გეგმით გათვალისწინებული დავალების შესრულება ყველას შეუძლია.

საკკ XXIV ყრილობის რეზოლუციაში სავსებით სწორად არის ჩაწერილი: ჩვენი გეგმების რეალურია. ამთი შესრულება დამოკიდებულია თვითეული ჩვენთაგანის გარჯაზე, ჩვენს სიგულისა და უნარზე, ორგანიზებულობასა და დისციპლინაზე.

პირადად მე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი, ყოველდღიურად ვაჯამებდი მუშაობის შედეგებს, სულ უფრო ღრმად ვრწმუნდებოდი, რომ დანაპირებს გადაჭარბებით შევასრულებდი. ანგარიშწარმოების მუშაკების დახმარებით ცხრა თვის მუშაობის შედეგები შევაჯამეთ, გამოირკვა, რომ წლიური დავალება სექტემბრის ბოლოს შეეასრულე. გამოვაშვეთ 24.483 კილოგრამი ნართი, გეგმა კი 23 ათას კილოგრამს ითვალისწინებდა, მ. ი. წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებული მაქვს 1.483 კილოგრამი ნართი.

რა არის წარმატების საიდუმლოება, როგორ მივაღწიე ამ შედეგებს?

ვინც სატრიკოტაჟო წარმოებას ნაწილობრივ მაინც იცნობს, ყველასათვის გასაგებია, რომ სართავ მანქანებს თავისი მაქსიმალური სიჩქარე აქვს, და რამდენიც უნდა ეცადო, ბრწვავს ვერ მოუმატებ, მაგრამ სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად არის დაწესებული დრო. აი სწორედ მთელი საიდუმლოება აქ არის. მუშამ სწორედ თავისი ოსტატობით სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად დაწესებული დრო უნდა შეამციროს.

ჩემი დანაპირების შესასრულებლად პირველ რიგში გავიფაროთ მომსახურების ზონა. თუ მანამდე სამ მანქანაზე ვმუშაობდი და ცვლაში 80 კილოგრამ ნართს ვუშვებდი (ესეც აღემატება ნორმას), ხუთი მანქანის მომსახურებაზე რომ გადავედი, უკვე ცვლაში 145 კილოგრამ ნართს ვამზადებ. ყოველი თვის ბოლოს ჩემს ანგარიშზე გეგმის გადამეტებით ნახევარ ტონაზე მეტი ნართია.

ამ წარმატებაში ხელი შემიწყო დროის ეკონომიამ ქვეოსტატის დაუბმარებლად მცირე დეფექტების გამოსწორების, თითისტარების გაჩერების, წყვეტიანობის გამოსწორების დროს. თუ ადრე მუშა თითისტარს რატომღაც მარჯვენა ხელით აჩერებდა, შემდეგ მარცხენას შეაშველებდა და მერე ისევ მარჯვენით იწყებდა ნართის გადაბმას, ახლა თითისტარს მარცხენით ვაჩერებ და პარალელურად მარჯვენათი უკვე ვძებნი ხოლმე ნართის წვერს. გადაბმა თითქმის ავტომატურად ხდება. ამ მეთოდის შესწავლამ საშუალება მომცა 5 წამის ნაცვლად 2 წამში გავმართო თითისტარი. ასეთი ოპერაციის შესრულებამ დღეში შეიძლება უამრავჯერ მოგიწიოს, რადგან ხუთ მანქანას 1560 თითისტარი აქვს, ნართი კი, მოგეხსენებათ, ხშირად წყდება. გარდა ამისა აქ პირადი პასუხისმგებლობაც დიდ როლს ასრულებს. თითისტარებს თვალი არც ერთი წამით არ უნდა მოაშორო.

ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში სრულდება. სასისარულოა, რომ ჩემს ინიციატივას კომბინატში ბევრი გამოეხმაურა.

პირველი ოქტომბრიდან მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობ და ვალდებულება ვიკისრე წლის ბოლომდე მომავალი წლის პირველი კვარტალის გეგმა შევასრულო და გამოვაფუშვა მხოლოდ პირველი ხარისხის ნართი.

წინ დიდი ამოცანებია, საჭიროა ახალი რეზერვების გამოძებნა. ეს შეიძლება, ოღონდ მთავარია შემოქმედებითი და დაუზარელი მუშაობა.



ძმურ, გულითად ვითარებაში

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის მუშაობის დამთავრების გამო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობის მუშაობაში.

დარბაზობის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა, რომელსაც მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ ე. გერეკის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო, ძვირფასო სტუმრებო!

ჩვენი პარტიის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა სულითა და გულით ნადლობა გადავიხადოთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაში მონაწილეობისათვის, იმ წვლილისათვის, რომელიც მის მუშაობაში შეიტანეთ. მთელი ჩვენი პარტია, პოლონეთის მუშათა კლასი, პოლონელი ხალხი დიდად აფასებენ თქვენს მონაწილეობას ყრილობაში და ჩამოსვლას პოლონეთში. გმადლობთ კომუნისტური სოლიდარობისათვის, ძმური მეგობრული გრძნობებისათვის.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს პოლონეთში სოციალისტური მშენებლობის მიღწევათა აღიარება, რასაც შეიცავდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სიტყვა. ჩვენი პარტია და მთელი პოლონელი ხალხი საუკეთესო გრძნობებით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობისადმი, ღრმა და ულრეკელი მეგობრობის გრძნობებით — საბჭოების ქვეყნის ხალხებისადმი.

გულწრფელად გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგებო, მოსალმებისა და სურვილებისათვის. ძმელი რამდენიმე სიტყვით გამოვხატო მეგობრობისა და სიმპათიის ის გრძნობები, რომლებითაც ვართ გამსჭვალული თქვენდამი, ჩვენი მეგობრებისა და ძმებისადმი კლასობრივ ბრძოლაში. ჩვენ მხოლოდ მადლობას გიხდით.

VI ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჩვენი პარტიის ინტერნაციონალისტურ პოზიციას. ჩვენ, კომუნისტებმა, დიდად ვბარობთ იმის გამო, რომ ჩვენი პარტიის ყრილობამ ერთხელ კიდევ დადასტურა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძლიერება და იდეური ერთიანობა.

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, იყავით მოწმენი და მონაწილენი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისა. VI ყრილობამ დასახა ძალიან ძნელი, მაგრამ პოლონეთისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროგრამა. ამ ყრილობაზე ჩვენ დავსახეთ ჩვენი პარტიის საქმიანობის მიმართულებანი, რომლებმაც რაც შეიძლება უკეთ უნდა ვუშველოთ ხელი პოლონეთში სოციალიზმის განმტკიცების საქმეს, სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში, მთელი ჩვენი მოძრაობის ბრძოლაში ჩვენი ვნელოის გადიდებას.

გზა, რომლითაც უკვე 27 წელიწადია მიპყავს ჩვენს პარტიას პოლონელი ხალხი, ბასუყარელად დაკავშირებულია სოციალიზმთან. სახალხო პოლონეთის ყველა დიადი მიღწევა ეშარება სოციალიზმის მონახპოვრებს, ჩვენი ხალხი სოციალიზმს უკავშირებს თავის მომავალს, მთელ თავის გეგმებს, მისწრაფებებს და იმედებს. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული ჩვენი პარტია არ დაიშურებს ძალღონეს, რათა კიდევ უფრო განავითაროს პოლონეთში ჩვენი სოციალისტური წყობილება, კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის კავშირურთიერთობა მძლე სოციალისტურ ქვეყნებთან, სოციალიზმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლ ძალებთან.

მინდა ერთხელ კიდევ დავარწმუნოთ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია კვლავაც ურყევად დაიცავს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თქვენთან ერთად შეკასრულოთ კომუნისტური მოძრაობის დიადი ისტორიული მისია.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი უძლეველი იდეით შეკავშირებული ჩვენი პარტიების ერთიანობას!

დაე ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს სოციალიზმი!

მოძმე პარტიების დელეგაციათა სახელით გამოვდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური საკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო გერეკ!

ძვირფასო მეგობრებო! ამხანაგებო!

მოძმე პარტიების დელეგაციათა სახელით ნება მიბოძეთ გულითადად მივულოცო ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძლებს, ჩვენს პოლონელ ძმებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის მუშაობის წარმატებით დამთავრება.

ყრილობამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდია სახალხო პოლონეთის წარმატებანი და შუახანებლობანი სოციალიზმის მშენებლობაში. მოხსენებებსა და დელეგატთა გამოსვლებში იგრძნობოდა ჭეშმარიტად დიდი მზრუნველობა ეკონომიის, მეცნიერების, კულტურის ზრდისა და სრულყოფისათვის, პარტიის ხელმძღვანელი როლისა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისათვის — ის მზრუნველობა, რომელიც კომუნისტებს, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეებს ახასიათებთ.

მეექვსე ყრილობამ გააფართოვა პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის პორიზონტები, დასახა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ვრცელი პროგრამა.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში წარმატების საწინდარია პარტიის ერთიანობა, მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობის მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქიდან გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მონაწილეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. პაპუშევი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკკ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. დოლგიხი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. შ. პეტროვსკი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. მ. რუსანოვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ა. პილიტოვიჩი.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გააცილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა და სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა მოღვაწეებმა.

* * *

12 დეკემბერს ვარშავიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მონაწილეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციაში შედიოდნენ: საკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. პაპუშევი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკკ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. დოლგიხი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. შ. პეტროვსკი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. მ. რუსანოვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ა. პილიტოვიჩი.

ბელორუსიის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ბ. ი. პორონოვი, ვ. ვ. ბრიმინი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომაცევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, საკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრები ბ. პ. ბეშჩევი, ა. ა. ბრომეი, ა. ა. ბრეჩკო, ნ. ს. პატოლიჩევი, ნ. ა. ფედორეიკო, ალ. ნ. ტიხონოვი, ბ. ე. ჩერნოუსენკო, საკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ფ. ბელიაევი, ბ. ვ. ბორეისკოვი, ბ. ნ. ბოროდინი, ბ. ნ. ბუტენკო, ბ. ნ. ბოჩაროვი, ბ. ნ. ბოიკოვი, ბ. ნ. ბოიკოვი, ბ. ნ. ბოიკო

წარჩინებით ვისწავლოთ და ვიმუშაოთ

საქართველოს კოლიტექნიკური ინსტიტუტის კარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებაზე

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი უველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებლის როლი მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში. თავისი არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ინსტიტუტმა სახალხო მეურნეობას მისცა ათეულ ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი. ესენი ადამიანთა იმ რაზმს შეადგენენ, რომლებიც მუშაობენ ახალშენებლობებზე, მიწიდან ამოაქვთ წიაღისეული, ქმნიან მანქანებსა და მოწყობილობებს, წინ სწევენ ტექნიკურ აზრს...

ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენარული მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე. ამის დადასტურება იყო აკადემიურ ჯგუფებში გამართული კრებები, რომლებმაც მაღალი აქტივობით ჩაიარა.

სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრების ექო წარმოადგენდა ამ დღეებში ინსტიტუტის საკტო დარბაზში შემდგარი პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებაც, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა რ. ნაცვლიშვილმა.

სტუდენტთა საკავშირო შეკრების შედეგებისა და ინსტიტუტის პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ი. ბუაჩიძე.

— ყოველი ეპოქა, — აღნიშნა მან, — ადამიანებს განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს. ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ცოდნის ღრმად დაუფლება და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი შემოქმედებითად გამოყენება. კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ დროს მიიღო მთელი რიგი ქმედითი ზომები უმაღლესი სკოლის მუშაობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის მკვეთრი ამაღლების მიზნით. ახალგაზრდობის სწავლის, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მკაფიო მაგალითია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

მეცხრე ხუთწლედში უნდა გამოვუშვათ 23 ათასი ინჟინერი, რომელთა შორის იქნება ახალი დარგებისა და სპეციალობების მრავალი ახალგაზრდა. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ ციფრზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ წინა ხუთწლედში მოვამზადეთ მხოლოდ ცხრა ათასი ინჟინერი. მარტო ინსტიტუტის დღის სტაციონარზე სწავლობს 14 ათასი სტუდენტი. მომავალ სპეციალისტთა აღზრდას ემსახურება 3.200 პროფესორ-მასწავლებელი. ნაყოფიერად მუშაობს 101 კათედრა.

გარკვეული წარმატებები წუთითაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, მით უმეტეს, რომ ჩვენს მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ჯერ კიდევ სათანადო ბრძოლა არ წარმოებს ლექციო-სემინარების უმიზნოდ გაცდენებისა და აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. ზოგიერთ ჯგუფში ლექციებზე დაუსწრებლობის პროცენტი 10-ს აღწევს, სტუდენტთა 80-85 პროცენტი კი სამებსა და ოთხებზე სწავლობს. ნაკლები ყურადღება ექცევა სწავლებასა და აღზრდელობითს მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას.

მომხსენებელი ეხება მთელ რიგ პრობლემებს, კერძოდ, მშენებარე სასწავლო და ლაბორატორიული კორპუსების, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებას. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ ინსტიტუტი განიცდის სასწავლო ფართობის უკიდურეს ნაკლებობას, ხოლო სტუდენტები — საბინაო პირობების დიდ სივიწროეს.

ტრიბუნაზეა მეცნიერული კომუნაზმის კათედრის გამგე დოცენტ. ნიმონგულოვი. იგი ლაპარაკობს კომუნიზმის მშენებლობის საქმისათვის ახალგაზრდობის აღზრდის სრულყოფის მნიშვნელობაზე და მასში კათედრების გაზრდილ ამოცანებზე.—ჩვენმა კათედრამ, — თქვა ორატორმა, — წლების მანძილზე შეიძინა მეცნიერულ-პედაგოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის თვალსაჩინო გამოცდილება. მაგრამ ხარვეზებისგანაც არა ვართ დაზღვეულნი. ზოგიერთი ლექტორი ლექციის დროს გვერდს უვლის საკვანძო საკითხებს. საჭიროა გადაჭრით ავამღლოთ ყოველი ლექციისა და მეცადინეობის თეორიული დონე, აქტიურად ჩავებათ თვითეული სტუდენტი სემინარულ და საწრო მუშაობაში, გავაძლიეროთ სახწავლო-საალმზრდელო და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. კადრების მომზადება უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას. იგი უნდა აისახოს სასწავლო გეგმებში, პროგრამებში, სახელმძღვანელოებში, ლექციებსა და სემინარებში.

— ერთიანი მოქმედებისა და გაგების ვითარება, — ასეთი უნდა იყოს კომკავშირისა და ლექტორ-მასწავლებელთა მოწოდება, — ამბობს კრებაზე სიტყვით გამოსული ენერგეტიკის ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივანი ა. შერმადინი.— უფრო ახლოს უნდა მივიდეთ სტუდენტებთან, გავაძლიეროთ მათდამი დახმარება და კონტროლი, გვესმოდეს მათი მოთხოვნები და საჭიროებანი.

— ახალგაზრდობის ფორმირება რთული და ხანგრძლივი საქმეა,— განაცხადა კრებაზე სიტყვით გამოსულმა სამშენებლო ფაკულტეტის პარტიბიუროს მდივანმა ა. სარალიძემ. — ახალგაზრდობასთან მუშაობაში წვრილმანი არ არსებობს. ფაკულტეტის საქმიანობის ყველა საკითხი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია. ეს გასაგებიც არის, რადგან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია გავაერთიანოთ მომავალ სპეციალისტთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პროცესი.

უმაღლეს სასწავლებელთა პარტორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა გაცილებით მაღლდება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. ჩვენც ვეცდებით ყოველმხრივ გამოვიყენოთ ეს უფლება.

—სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვა, აბრაზა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე ახალი წარმატებისათვის შეკრებაზე მოგვაგონებს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. მამბელი-შვილმა. — კომკავშირის კომიტეტთან მუშაობს ფრიადოსანთა საბჭო. მასში გაერთიანებული მოწინავე სტუდენტები ეხმარებიან ჩამორჩენილთ, თავიანთ სხდომებზე განიხილავენ აკადემიური ჯგუფებისა და ცალკეული სტუდენტების ჩამორჩენის მიზეზებს, სახავენ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. უმაღლესი სასწავლებლის ყველა ჯგუფი ჩამბულია საუკეთესო აკადემიური ჯგუფის გამოსავლინებელ კონკურსში, დაჩქარდა ფრიადოსნის სამკერდე ნიშნის გადაცემის ტრადიცია, მაღლობის ფურცლების გაგზავნა წარჩინებულ სტუდენტთა მშობლებთან და სკოლებში.

ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს სამშენებლო რაზმების მუშაობაში რესპუბლიკა და მის ფარგლებს გარეთ. უკანასკნელი წლების მანძილზე „მესამე შრომითს სემესტრში“ მონაწილეობა მიიღო 3700 სტუდენტმა, რომლებმაც შეასრულეს 6 მილიონამდე მანეთის სამუშაოები.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: რ. სტურუა (ინსტიტუტის სტუდენტთ[illegible] ნიერო საბჭოს თავმ[illegible] დოც. გ. ჩიხლაძე (მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი), ო. ფეროძე (გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარე). ათ რა თქვეს მათ:

რ. სტურუა: — ახალი ხუთწლედის გაზრდილი ამოცანები გვავალებს ყოველდღიურად სრულეყოფდეთ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფორმებს. ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება 2.000 წევრს აერთიანებს. სტუდენტთა მრავალმა ნაშრომმა ფართო აღიარება და მაღალი შეფასება მოიპოვა. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ცალკეული კათედრები და ლექტორ-მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. მასობრიობა! — ასეთი უნდა იყოს ჩვენი დევიზი.

გ. ჩიხლაძე: — სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. იმედია ჩვენი ახალგაზრდობა პარტიის ამ ზრუნვას უპასუხებს ახალი მიღწევებით სწავლასა და შრომაში. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ სტუდენტთა გადაუდებელ მოთხოვნებსა და საჭიროებებს, სრული სენსიტიურობა დავამყაროთ საერთო საცხოვრებლებში, აუდიტორიებში, [illegible] ლაბორატორიებში, აგრეთვე [illegible] ტერიტორიებზე.

[illegible] კომუნისტური [illegible] ამოცანები ახალგაზრდობას სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სტუდენტთა კულტურისა და თვითგანათლების ასამაღლებლად. მართალია, ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ჩანს, ზოგიერთ ლონისძიებას სათანადო შედეგი არ მოსდევს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებამ, რომელმაც სათანადო რეზოლუცია მიიღო, მაღალი აქტივობის ნიშნით ჩაიარა. მას წითელ ზოლად გასდევდა ვ. ი. ლენინის მოწოდება იმის შესახებ, რომ სსკავლის პროცესი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ ეკონომიკურ ალზრდის პროცესთან.

დასასრულ, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ნ. ჯინჭარაძემ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანს მ. მამბელიშვილს გადასცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიუბილეო მედალი, რომლითაც ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია დაჯილდოებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში კარგი მუშაობისათვის.

გ. ზუკაკიშვილი.

ვეტერინარი და ფერმა

გავაუმჯობესოთ ვეტერინარული სამსახური სოფლად

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. მისი შემდგომი აღმავლობა პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია მეცხოველეობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს პირუტყვის დაავადებანი, რომელთა მიზეზით გამოწვეული ზარალი მეტად საგრძნობია.

ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXIV ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა: „ყველაფერი უნდა იიღონოთ, რათა შევამციროთ პირუტყვის გაწყდომა ავადმყოფობისა და ცუდი მოვლის შეფუვად“.

მეცხოველეობის რენტაბელობა დიდად არის დამოკიდებული დაავადებებისაგან ცხოველთა დაცვაზე. დანაბარჯების სრულად ანაზღაურებასა და ვეტერინალურ-სანიტარული თვალსაზრისით კეთილხარისხოვან პროდუქციას მხოლოდ ჯანსაღი პირუტყვი იძლევა, ამიტომაც დაავადებათა პროფილაქტიკა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ამიტომ ჩვენს ეპიზოოტიურ-სიტუაციაზე ინტენსიურად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დაავადებათა ჯაჭვის შესაძლებლობა მაინც არსებობს. ამიტომაც აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს მათი გამოვლინების აღსაკვეთი ღონისძიებანი. საქართველოზით დაავადებული 6 სული პირუტყვი, რომელიც არ ჩაბარეს. ოქტომბერში გამოიყო ჩვიდმეტი სული, მიმდინარე წელს კი გამოვლინდა 62 სული. ნაყოფი მოაგდო 34 ფურმა, ხხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ბრუცელოზიანთა ჩაბარება სახორცედ.

ნაკლები ყურადღება ექცევა არაკეთილსაიმედო ფერმების შემოკავებას და ვეტერინარული კვანძების მშენებლობას. მთელ რიგ რაიონებში მეურნეობათა ხელმძღვანელები ვეტსამსახურის ნებართვის გარეშე ბრუცელოზზე და სხვა ინფექციებზე ეპიზოოტიური სიტუაციის გაუთვალისწინებლად ახდენენ პირუტყვის გადაჯუფებას, ყიდვა-გაყიდვას, გადარეკვას საზაფხულო იალაღებზე, რითაც ხელს უწყობენ ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას. დროა ამ მდგომარეობას სერიოზულად ჩაეფიქრდნენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები.

მომთაბარე მეცხოველეობის პირობებში საკმარისია რომელიმე მეურნეობამ გადარეკოს ავადმყოფი ან ერთ ფეხზე უფრო ადრე ნაავადმყოფარი ცხოველი, რომ თურქული მასობრივად გავრცელდეს როგორც ტრასაზე, ისე საგაზაფხულო თუ საუამრო ადგილებზე. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ როგორც ვეტსპეციალისტებს, ისე მეურნეობათა ხელმძღვანელებს. არც თუ იშვიათად ამ წესის დარღვევით გამოწვეული ზარალი აჭარბებს იმ ცხოველთა ღირებულებას, რომელთა გადარეკვის მიზეზითაც გაჩნდა თურქული. ამიტომ მეურნეობათა ხელმძღვანელები ამ საკითხის გადაწყვეტას უნდა უდგებოდნენ არა ვიწრო უწყებრივი, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

თურქულთან ბრძოლის სიძნელე დაკავშირებულია იმასთან, რომ დაავადების კლინიკურ გამოვლინებამდე რამდენიმე დღით ადრე იწყება რძესთან ერთად თურქულის ვირუსის გამოყოფა. ვირუსი აქედან რძის მიმღებ პუნქტებსა და ქარხნებში ხვდება, იქიდან კი მოხდილი ნარევი რძის მეშვეობით სხვადასხვა მეურნეობებში იჭრება და დაავადებაც სწრაფად ვრცელდება პირველადი კერის გამოვლინებამდეც კი. აი ამიტომ სხვა საკითხებთან ერთად თურქულის მიმართ არაკეთილსაიმედო და საშიშროებაში მყოფ ზონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რძისა და რძის პროდუქტების გაუსნებოვნებას.

საქართველოში საზოგადოებრივი მეფრინველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანა და მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს ვეტერინარ სპეციალისტებთა მეტ ყურადღებას. ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვა წარმოადგენს მეფრინველეობის ფაბრიკების ტექნოლოგიური პროცესის განუყოფელ ნაწილს და ამას უნდა იცავდეს ყველა რგოლის მუშაკი. მეფრინველეობის ფაბრიკებისა და მეურნეობებისათვის ადგილის შერჩევა, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შედგენა და დამთავრებული ობიექტების მიღება უნდა ხდებოდეს ზოოვეტსპეციალისტთა მონაწილეობით და ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დაცვით.

ფრინველთა ჭირის პროფილაქტიკისათვის მეტად ეფექტური ვაქცინა ჯერჯერობით მაგრამ დაავადება დროდადრო მაინც იჩენს თავს ცალკეულ ფაბრიკებსა და საინკუბატორო სადგურებში, იმის გამო, რომ ჯერ-ჯერობით ვაქცინა ეფექტურია არ ექცევა გარემოს სანიტარულ გაჯანსაღებას. ამ პირობებში იძულებული ვართ ჭირის საწინააღმდეგოდ წიწილებს 5 დღის ასაკიდან 60 დღამდე 5-ჯერ ავუცრათ. შედეგი ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. ეკონომიურად უფრო სასარგებლოა მეტი ყურადღება მივაქციოთ ვეტერინარული კვანძების მშენებლობას და სანიტარული კულტურის ამაღლებას. მეტ ყურადღებას საჭიროებს მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებულ ფრინველთა შორის გადამდებ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. არც თუ იშვიათად სწორედ მათგან ხდება მეურნეობის ფრინველთა დასნებოვნება. მთავარია არ მივცეთ ინფექციურ სნეულებათა აღმძვრელებს ფეხის მოკიდების შესაძლებლობა.

მეცხოველეობას დიდ ზარალს აყენებს კანქვეშა ზღმურდლი. მისი ზეგავლენით ათი-თორმეტი პროცენტით მცირდება წველადობა, 30 პროცენტამდე ზიანდება ტყავი, ამიტომაც საგრძნობლად ქვეითდება ტყავის ხარისხი, რის გამო ტყავის მრეწველობა დიდ ზარალს ნახულობს. წარმატებით ებრძვება ამ დაავადების საწინააღმდეგოდ ქლოროფოსის რვაპროცენტიანი ხსნარით ძროხების დამუშავება. მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობია დაინფიცირების პროცენტი (განსაკუთრებით მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფ პირუტყვში).

საკმაოდ მაღალია ძროხების ბერწიანობა, უკანასკნელ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის მასშტაბით ბერწიანობა 27-დან 37 პროცენტის შორის მერყეობს. შარშან ეს მაჩვენებელი რესპუბლიკურ საშუალო მაჩვენებლებში მეტი იყო ვეტერინარის, ჩოხატაურის, ადიგენის, ბოლნისის, დმანისის და სხვა რაიონებში.

შემოწმებით დადგენილია, რომ ბერწიანობა ძირითადად გამოწვეულია ძროხების არასრულფასოვანი, ცალმხრივი კვებით, ძროხების სიბერით, ხელოვნური დათესვის ცუდი ორგანიზაციით, მაგრამ დაავადებებსაც გარკვეული წილი მოუძღვის. ამიტომ საჭიროა სისტემატურად ხდებოდეს ძროხების შემოწმება მაკერბაზე რეპტალური გასინჯვით და შემდგომ საჭირო ღონისძიებათა განხორციელებით. შესწავლილ უნდა იქნას თვითეულ შემთხვევაში ბერწიანობის მიზეზი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ბერწად დარჩენილი ძროხა 200 მანეთამდე ზარალს აყენებს მეურნეობას.

რესპუბლიკის ვეტერინარული სამსახურის ამოცანაა ყველა შესაძლო ზომა მიიღოს ფერმებში სანიტარული კულტურის ამაღლებისათვის. ამ მიზნით უნდა გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლება ვეტერინარული ზედამხედველობისა. არ მისცენ მოსვენება იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც თავს არიდებენ ვეტერინარულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას. ასეთები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრნი არიან. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ შემოწმებული სარძეო ფერმებიდან ნახევარში არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობაა. უფრო უარეს მდგომარეობაშია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ზოგან არა აქვთ წყალი, სპეცტანსაცმელი და სხვ. მეცხოველეობის ფერმებში სანიტარული კულტურის ამაღლება ზოოვეტერსსონალისა და მეურნეობის ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა.

ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტურობის ეკონომიურ ანალიზს ხელი უნდა მოაკიდონ როგორც ვეტერინარმა სპეციალისტებმა, ისე მეურნეობათა ეკონომისტებმა. ეს კი საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ვეტერინარულ ღონისძიებებზე საჭირო მატერიალური და ფულადი სახსრების დაგეგმვა და მიზანშეწონილად გამოყენება. გამოვავლინოთ ეკონომიური ეფექტურობის გზები და საშუალებები, ავამაღლოთ მეურნეობის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება — აი რა არის ახლა მთავარი.

აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ვეტერინარიის ძირითად საკითხებში მეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკების გათვითცნობიერებას, რომ გასაგები იყოს ვეტერინარულ ღონისძიებათა სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი ვეტერინარული წესდებით დადგენილი მათი მოვალეობანი დაავადებისაგან ცხოველთა დაცვის საქმეში. ვეტსპეციალისტები ეწევიან მეტად შრომატევად და სასარგებლო მუშაობას. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეცხოველეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევის და ადამიანისა და ცხოველისათვის საერთო დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვის საქმეში. ამიტომ ისინი მეტი მორალური და მატერიალური წახალისების ღირსი არიან, უფრო მეტ მხარდაჭერას და დახმარებას საჭიროებენ მეურნეობის ხელმძღვანელთაგან.

რესპუბლიკის ვეტსპეციალისტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ მკვეთრად გააუმჯობესონ მეცხოველეობის ვეტსანიტარული მდგომარეობა და ხელი შეუწყონ მეცხოველეობის წინაშე სახელმწიფოს დავალებათა პირნათლად შესრულებას.

ვლ. მამათელაშვილი,
საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი;

ვ. შამათავა,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ინსტიტუტის ეპიზოოტოლოგიის კათედრის გამგე.

დაპირება დაპირებად დარჩა

გატეხილი სიტყვა და დაუმთავრებელი მშენებლობა

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებას. გადაჭარბებით იქნა განაღდებული ამ ძვირფასი პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმები. აფხაზეთის ტორტრტებმა და მოსახლეობამ ფაბრიკისაგან მიიღეს 25 მილიონ 677 ათასი ცალი კვერცხი და 5.658 ცენტნერი ფრინველის ხორცი.

სერიოზული ამოცანებია გაგრელ მეფრინველეთა წინაშე 1972 წლისათვის. მომავალ წელს კვერცხის წარმოება მიმდინარე წლის ოინესთან შედარებით უნდა გაიზარდოს 9 პროცენტით, ხორცისა — 29 პროცენტით.

როგორ მიმდინარეობს მზადება მთავრობის ამ სერიოზულ დავალებათა განხორციელებისათვის, როგორ სრულდება ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები, რომელიც 6 წელზე მეტია, რაც დაიწყო?

მკითხველს ალბათ ახსოვს გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის მიმდინარეობაზე გასული წლის აგვისტოში „კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული კორესპონდენცია, სადაც მხელებული იყო ამ მნიშვნელოვან საქმეში არსებული ჩამორჩენის ფაქტები.

ამ საკითხის თაობაზე რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში, რომელიც „კომუნისტის“ გასული წლის 12 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს იტყობინებოდა, რომ **კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა... სამინისტროს კოლეგიამ განიხილა გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმები უთოდ შესრულდეს.**

სამწუხაროდ, „კონკრეტული ღონისძიებები“ ქაღალდზე დარჩა. საქართველოს სსრ სასოფლო-მშენებლობის სამინისტროს № 5 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი გ. გაბისონია) და მისმა მერვე მოძრავმა მექანიზებულმა კოლონნამ (უფროსი ჯ. ტოგონიძე) ამ ობიექტზე მუშაობის ტემპი კი არ გაეძლიერებინ, პირიქით, შეანელეს(?!).

აი, ფაქტებიც:

ჩვენ არ შეეუდგებით იმ ობიექტებისა და სამუშაოების ჩამოთვლას, რომლებიც შარშანდელი პროგრამით იყო გათვალისწინებული და მშენებლებს დროულად არ დაუმთავრებიათ. მკითხველს გავაცნობთ მხოლოდ მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მდგომარეობას. მშენებლებს გეგმით წელს სულ 416.3 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. აქედან გასულ ათ თვეში შესრულებულია 212 ათასი მანეთის, რაც 50,9 პროცენტს უდრის. სამარცხვინოდ ჩამორჩენა ფაბრიკის ახალი ობიექტების ძირითადი მშენებელი მერვე მოძრავი მექანიზებული კოლონნა, რომელსაც უნდა შეესრულებინა 341 ათასი მანეთის სამუშაო. აქედან შესრულებული აქვს 148,8 ათასი მანეთის. წლის ბოლომდე ცოტა დრო დარჩა. რას ფიქრობენ მშენებლები?

ფაბრიკის ახალ სამძღვარეთა კომპლექსში შემავალი ობიექტებიდან წელს მეორე კვარტალში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ № 8 საფრინველე 30 ათასი ფრთა-ქათმისათვის. ამ ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის სულ უნდა დაიხარჯოს 42 ათასი მანეთი, აქედან დახარჯულია 23 ათასი მანეთი. მშენებლობა მხოლოდ მესამე კვარტალის ბოლოს დაამთავრეს და ამჟამად მომდინარეობს ტექნიკური მოწყობილობის მონტაჟი, რომელსაც ასრულებს „საქფრინველმრეწვის“ სარემონტო სამშენებლო სამმართველო (სამუშაოთა მწარმოებელი გ. ნატროშვილი).

№ 48 ბატარიული საამქროს მშენებლობა 50 ათასი ფრთა წელილისათვის უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, მაგრამ დღესაც არ არის დამთავრებული. აქ ჯერ-ჯერობით ბევრი სამუშაოა დარჩენილი. ამჟამად მიმდინარეობს გადახურვის, გადატხვრის, კარ-ფანჯრების ჩადგმისა და სხვა სამუშაოები. ვარაუდობენ მშენებლობის წლის ბოლოსათვის დამთავრებას, მერე უნდა დაიწყოს ტექნიკური მოწყობილობის მონტაჟი. აქ კიდევ შეფერხებას ექნება ადგილი, ვინაიდან მეორე ასაკის ფრინველისათვის არა აქვთ გალიები. ესენი ფაბრიკას უნდა მიეღო „საქფრინველმრეწვისა“ და „საქსოფლტექნიკიდან“, მაგრამ გალიები ჯერ-ჯერობით გამოყოფილიც კი არ არის.

მშენებლებს წელს უნდა დაეწყოთ № 1 და № 2 საფრინველეების მშენებლობა, რისთვისაც უნდა დაიხარჯოს მთლიანად 300 ათასი მანეთამდე, ხოლო წელს ამ ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე სატტულო სიით უნდა აეთვისებინათ 74 ათასი მანეთი. სამწუხაროდ, ამ სამუშაოს დაწყებაზე ჯერ-ჯერობით აქ არავის უფიქრია. ასეთივე მდგომარეობაა წყალსაწნეხი კოშკის მშენებლობაზე, რომელიც 36,8 ათასი მანეთი უნდა დაჯდეს და წელსვე უნდა დამთავრებულიყო. ჩაშლილია ვენტილაციისა ქსელის სამუშაოების ჩატარებაც. ამ ობიექტებზე წელს უნდა აეთვისებინათ სულ 42,8 ათასი მანეთი, დღეისათვის ჩატარებულია მხოლოდ 3,5 ათასი მანეთის სამუშაო.

ფაბრიკაში მოუგვარებელია ელექტროენერგიით შეფერხებული მომარაგების საკმე. ძირითადი ელექტრობაზეა, რომელიც „საქსოფლელექტრომშენის“ სოხუმის უბანმა (უფროსი მ. ნიკოლაიშვილი) გაიყვანა, დაუმთავრებელია, საქსელსატაციოდ ჯერ კიდევ არ არის გადაცემული. ელექტრობაზე, რომლითაც მეფრინველეობის ფაბრიკა დროებით სარგებლობს, არასრულფასოვანია, ხშირად გამოდის მწყობრიდან და ხელს მის დამუშავებას ფაქტობრივ ნორმალურ მუშაობას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურების გამო გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილის პასუხად საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო დაპირებას იძლევა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმები უსათუოდ შესრულდებოდა. როგორც ხედავთ, მშენებლებმა კვლავ არ შეასრულეს ეს პირობა. ახლა რაღას იტყვიან?

როგორც ჩანს, მშენებლებმა სიტყვა და დაპირება ქარს გაატანეს. მშენებლობის ასე შეუწყნარებლად გაჭიანურებისათვის მათ მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენი ახალი სვანეთი

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ლენტეხში

□

ქართველოს კპ ლენტეხის რაიკომმა. კონფერენცია, რომლის მუშაობაში რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტიელად პარტიული ორგანიზაციათა მდივნები და კოლმეურნე ნოვატორები მონაწილეობდნენ, შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ლენტეხის რაიკომის მეორე მდივანმა ბ. მილაძემ.

კონფერენციაზე მომსენელი იქნა მოხსენებები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. გეგეშიძისა — „რეგიონალური კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის მიზნები და ამოცანები“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ე. ქვაოძისა — „დასავლეთ საქართველოს მთის ზონის მოსახლეობის შრომითი დასაქმების სტრუქტურა“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. მაქაიასი — „ოჯახის სოციალური სტრუქტურა სვანეთში“, მეცნიერი თანამშრომლების ა. კაკაძისა — „მოსახლეობის ადგილგადასაცვლების ფორმები სვანეთში“, გ. სულაძისა და ტ. კინგაძისა — „საქართველოს მთის ზონის ახალგაზრდობის სოციალური განვითარების ზოგიერთი საკითხი“, ხ. ჩხეტიანისა — „სოფლის ინტელიგენციის საზოგადოებრივი როლი“, ი. კეცხოველისა — „ქალის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა სვანეთში“ და ნ. კერესელიძისა — „კულტურული ცხოვრების ზოგიერთი საკითხი სვანეთში“.

საინტერესო ადგილობრივ კონკრეტულ მაგალითებზე აგებულმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის.

მომხსენებლებმა რაიონის კოლმეურნეებს ურჩიეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთი პერსპექტიული დარგის განვითარებას, როგორიც საზოგადოებრივი მეცხოველეობაა. შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სათიბები და საძოვრები, განვითარონ სარწყავი სისტემა, სათიბებში შეიტანონ ორგანული და მინერალური სასუქები. მოსახლეობის მაქსიმალური შრომითი დასაქმებისა და სეზონური მიგრაციის შესუსტების მიზნით ლენტეხში უნდა გაიხსნას სამრეწველო საწარმო. საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ხე-ტყის დამუშავება. მოწესრიგებულია აქ დაჩქარდეს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, მეტი ყურადღება მიექცეს საავტომობილო გზების მშენებლობას, სოფლების რადიოფიკაციასა და ელექტრიფიკაციას. სვანე

ᲔᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ
ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ
ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲐᲛᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲙᲣᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲜᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ.

საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას წინ უძღოდა თეთრი სახლის განცხადება, რომელსაც აქ მიიჩნევენ როგორც ცდას, რომ პირდაპირი გავლენა მოახდინონ ინდოეთზე, მიუხედავად სახელმწიფო მდივნის უ. როჯერსისა და ამერიკის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლთა ადრინდელი განცხადებებისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს „ნეიტრალურ პოლიტიკას“ ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში.

ვაშინგტონის მიკერძოებულ ცალმხრივ პოზიციას მოწმობს ამერიკის რეზოლუციის პროექტიც, რომელიც 12 დეკემბერს შეიტანა. იგი არსებითად იმეორებს ამერიკელთა პროექტს, რომელიც უკვე უარყო უშიშროების საბჭომ 5 დეკემბერს, ვინაიდან არ ითვალისწინებდა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის ძირეული მიზეზების სალიკვიდაციოდ გამიზნულ ღონისიძიებებს. მაშინ ამ პროექტს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთაგან ხმა მიცეს მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

ამერიკელთა „ახალი“ პროექტი აგრეთვე არ ითვალისწინებს აღმოსავლეთ პაკისტანის პრობლემის პოლიტიკურ მოწესრიგებას და უკანა პლანზე აყენებს 10 მილიონი აღმოსავლეთპაკისტანელი ლტოლვილის პრობლემის გადაჭრას. ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტასა და ჯარების გაყვანას მოითხოვს.

როგორც აღნიშნავს ამერიკული პრესა, ამერიკის შეერთებული შტატების აქციას უშიშროების საბჭოში თან ახლავს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დემონსტრაციული გადადგილება, რომელიც ყბადაღებულ „კანონიერთა დიპლომატიას“ მოგვაგონებს: „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობის თანახმად, ამერიკელთა ესკადრა, რომლის შემადგენლობაში არიან ავიამზიდი „ენტერპრაიზი“, რამდენიმე სასესკადრო ნაღმოსანი და სხვა ხომალდები, ტონკინის ყურიდან გაემართა ინდოეთის ოკეანეში იმ საბაბით, რომ გამოიყვანოს ამერიკელი მოქალაქენი აღმოსავლეთ პაკისტანიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ამ უხეშ შანტაჟსა და გავლენას მიიჩნევენ პოლიტიკურ, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სინგმა საბჭოში გამოსვლის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი თავის მხრივ პატივს სცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და მიზნებს და მუდამ ზედმიწევნით ასრულებდა ყველა შეთანხმებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის მოგვარებას. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ერთხელ კიდევ ობიექტურად განიხილოს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე შექმნილი რეალური მდგომარეობა და განხორციელოს სათანადო ღონისძიებანი კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ამავე დროს სინგმა აღნიშნა, რომ ინდოეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული ხელშეუხებლობა.

Ი. ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲓᲔᲚᲘ. 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ინდოეთს არასოდეს არ მიიჩნევდა პაკისტანი ან პაკისტანელი ხალხი თავის მტრად, ინდოელები ღრმა სიმპათიის გრძნობით ეკიდებიან პაკისტანელ ხალხს, რომელსაც ექსპლოატაციის უწევს პიროვნებათა გარკვეული წრე, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გუშინ ინდოეთის დედაქალაქში გამართულ მასობრივ მიტინგზე.

ინდოეთს არა აქვს რაიმე ტერიტორიული პრეტენზია. ინდოეთი იბრძვის გარკვეული იდეალების დასაცავად, ბანგლა დეშის ჩაგრული ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, თქვა მან. ჩვენ არ შეგვეძლო გულგრილად მოკვიდებოდით ბანგლა დეშის ხალხის ტანჯვას, უკანონობასა და რეპრესიებს ამ ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, განაგრძო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა.

ინდირა განდიმ გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური დოქტრინა, რომელიც ცდილობს „ეფექტიანი ბალანსის“ შექმნას „ატომური პაკისტანის“ ბანგლა დეშს, პაკისტანის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას, ინდოეთის მეზობლობაში. ინდირა განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იაროს წინ დემოკრატიისა და სამართლიანობის გზით.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲓᲔᲚᲘ. 12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). როგორც განაცხადა დღეს დელში ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, დასავლეთ სექტორში დღეს ინდოეთის ჯარებმა მოიგერიეს პაკისტანის ჯარების კონტრშეტევები ჩხამბის რაიონში (ჯამუ) და უუაქციის ისინი მდინარე ᲫᲐᲜᲐᲕᲐᲠ ტავის დასავლეთ ნაპირზე. პაკისტანის ჯარებმა განიცადეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი.

ოფიციალური წარმომადგენლის განცხადების თანახმად, კარგილის სექტორში ინდოეთის ჯარებმა დაიკავეს პაკისტანელთა 21 სასაზღვრო საგუშაგო.

აღმოსავლეთ სექტორში ინდოეთის ჯარები წარმატებით მიიწევენ დაკის მიმართულებით. მათ დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები 30 კილომეტრზე ქალაქის ჩრდილოეთით.

ინდოეთის ჯარებმა დღეს დაიკავეს დიდი ქალაქი კუშტია და პატარა სამხედრო ქალაქი დაულატარი (ხულნის ოლქი).

კალკუტაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლის დროს აღმოსავლეთის სარდლობის შტაბის უფროსმა გენერალმა ჯაკობმა განაცხადა, რომ „მუქთი ბაჰინის“ განმათავისუფლებელი არმიის ქვეგანაყოფები ებრძვიან პაკისტანის ჯარებს უშუალოდ დაკაში და მის შემოვარენში.

პაკისტანის რადიომ დღევანდელ გადმოცემაში აღიარა, რომ დაკა ფაქტიურად ალყაშემორტყმულია.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება რავალპინდიდან, პაკისტანის დედაქალაქის უცხოურ დიპლომატიურ წრეებში მიიჩნიეთ, რომ პაკისტანის საომარი კამპანია დასავლეთში ჩაიფუშა. მისი საშუალებით ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ინდოელთა ჯარების მოქმედება აღმოსავლეთ პაკისტანში.

პაკისტანის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა დღეს რავალპინდში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აღმოსავლეთ პაკისტანის ბევრ რაიონში 3-დან 12 დეკემბრამდე მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები. პაკისტანის ჯარები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ, ზოგიერთ უბანზე ისინი იძულებული არიან უკან დაიხიონ იმის გამო, რომ სრულიად არ ეხმარებიან ჰაერიდან. ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღიარა, რომ მთელ რიგ უბნებზე ინდოეთის ჯარებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. მისი თქმით, ამას ხელი შეუწყვეს საჰაერო დესანტებმა, რომლებიც ინდოელებმა გადასხეს პაკისტანის ჯარების ღრმა ზურგში.

საზღვრის დასავლეთ სექტორში, ოფიციალური წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ინდოეთის ჯარები განიცდიან ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდ დანაკარგებს. პაკისტანის ჯარებმა მოიპოვეს ერთგვარი ტაქტიკური უპირატესობა პენჯაბსა და რაჯასთანში.

როგორც აღნიშნულია პაკისტანის სარდლობის საომარი მოქმედების ცნობაში, პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს ინდოეთის ჯარების თავმოყრის პუნქტები რაჯასთანის რაიონში და სხვა სასაზღვრო რაიონებში, აგრეთვე პატნანკოტის, სრინაგარ ბხუჯანდის, ჯამანგარისა და ბხუჯის აეროდრომები.

ᲓᲔᲚᲘ, 12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დღეს აქ ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა რომ ინდოეთ-პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში 3-დან 12 დეკემბრამდე მოსპობილია პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების 80 თვითმფრინავი. ინდოეთის მხარემ დაკარგა 39 თვითმფრინავი. ინდოეთის ჯარებმა მოსპეს პაკისტანელთა 143 ტანკი: 122 — დასავლეთ სექტორში და 26— აღმოსავლეთ სექტორში. ინდოეთმა დაკარგა 54 ტანკი. პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალებმა დაკარგეს სამი სამხედრო ხომალდი, ორი წყალქვეშა ნავი და თექვსმეტი კანონერი. პირველი ზარალი განიცადეს დღეს ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა: არაბეთის ყურეში მოწინააღმდეგემ ჩაძირა ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო ფრეგატი.

ᲨᲔᲡᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲚᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გუშინ დელში ინდოეთის მხარესთან კონსულტაციისათვის ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

იგი დღეს მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. ვ. ვ. კუზნეცოვი აგრეთვე ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. ვ. გირის. საუბრებში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ნ. მ. პეგოვმა.

ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲜ

ᲓᲔᲚᲘ. 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). აღმოსავლეთ ბენგალიაში ინდოეთის არმიისა და „მუქთი ბაჰინის“ რაზმების წარმატებით წინსვლის შედეგად აღმოსავლეთ პაკისტანელი ლტოლვილები იწყებენ სამშობლოში დაბრუნებას. როგორც შილონგში განაცხადა ასამის შტატის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, 14.000-ზე მეტი აღმოსავლეთთბენგალიელი უკვე გადმოზავრა შინ ასამის და მეზგალაჯაიეის შტატების ლტოლვილთა ბანაკებიდან.

ინდოეთის ცენტრალურმა მთავრობამ აღმოსავლეთის შტატების ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავა აღმოსავლეთბენგალიელ მოქალაქეთა სამშობლოში რეპატრიაციის გეგმა, ამ გეგმის შესაბამისად განსხორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყონ ლტოლვილთა მალე და ორგანიზებულად დაბრუნება აღმოსავლეთ ბენგალიის განთავისუფლებულ რაიონებში.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** ვერტმფრინავი „�n-26“ დაეშვა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქის აეროდრომზე. ეს სამთაგან პირველი მანქანაა, რომლებიც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ შეისყიდა სრულიად საკავშირო გაერთიანება „ავიაექსპორტისაგან“.

● **ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ** იუგოსლავიის პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო შეხვდა ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იუგოსლავიისა და ავღანეთის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე მსოფლიოს აქტუალური ამბების შესახებ. პრეზიდენტმა ტიტომ და ავღანეთის მეფემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ინდოსტანის ნახევარკუნძულის მდგომარეობას.

● **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** პრეზიდენტი ჟ. პომპიდუსთან. ნიქსონს ახლავან სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი და ფინანსთა მინისტრი ჯ. კონელი.

● **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ ჩავიდა ტერსეირის კუნძულზე, რომელიც აზორის კუნძულების შემადგენლობაში შედის, სადაც მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. ნიქსონთან.

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ** რეაქცია აპირებს კიდევ ერთხელ გაუსწორდეს ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებს. 14 დეკემბერს სან-ფრანცისკოში იწყება სასამართლო პროცესი ზანგი მოღვაწეების ჯონ კლაკჩრეტისა და ფლეტა დრამგოს, ცოცხლად გადარჩენილი ორი „სოლედადელი ძმის“ „საქმის“ გამო.

● **11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ** გვიან ღამით აფეთქების დროს ბელფასტის ერთ-ერთ ქუჩაზე მოკლეს ოთხი კაცი, მათ შორის ორი ბავშვი, დაჭრეს ოცამდე. ისლანდიაუნ სტრიტზე ინგლისელთა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ახლოს მიმავალ მანქანას და მძიმედ დაჭრეს მძღოლი.

● **ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ** მაოცნეტები კვლავ აფართოებენ აგრესიას კამბოჯის წინააღმდეგ. სამხრეთ ვიეტნამის არმიის ექვსი ათასმა ჯარისკაცმა დაიწყო შეტევა ჩუპის კაუჩუკის პლანტაციაზე აღმოსავლეთ კამბოჯაში. შეტევას წინ უძღოდა ამერიკის „ბ-52“ ბომბდამშენების მასირებული საჰაერო თავდასხმა ჩუპის პლანტაციებზე, რომლებიც უდიდესია ინდოჩინეთში.

ᲠᲝᲛᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გუშინ სალამოს დამთავრდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებზე კენჭისყრის მეექვსე ტური, რომელსაც არ მოჰყოლია შედეგი.

ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ამრჩევთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა (505 ხმა 1008-დან), რაც საჭიროა არჩევისათვის. ამ ტურში იტალიის სოციალისტური პარტიის კანდიდატმა ფ. დე მარტინომ მიიღო — 413 ხმა, ა. ფანფანიმ (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) — 378, ჯ. სარაგატმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია) — 50, ჯ. მალაგოდიმ (ლიბერალური პარტია) — 48 ხმა. ნეოფაშისტური პარტიის — იტალიის სოციალისტური მოძრაობის თავმჯდომარის ა. დე მარსანიჩის კანდიდატურა კენჭისყრის მეხუთე ტურის შემდეგ მოხსნა კენჭისყრიდან მისმა პარტიამ.

კენჭისყრის მორიგი, მეშვიდე ტური დანიშნულია დღეს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲚᲘᲜ ᲑᲘᲐᲝᲡ ᲐᲚᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ?

ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲙᲝᲠᲘᲔᲠᲐ ᲓᲔᲚᲐ ᲡᲔᲠᲐᲛ“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის წერილი ჰონკონგიდან, რომელიც გადმობეჭდა „ლიტერატურნაია გაზეთამ“. მკითხველებს ვთავაზობთ ამ კორესპონდენციას.

ᲚᲘᲜ ᲑᲘᲐᲝ რომ შერისხულია, ეს უკვე საკმაოდ ნათელია და ამას ყველაზე ჯიუტი სკეპტიკოსებიც აღარ უარყოფენ. თუ ერ კიდევ ამ რამდენიმე ხნის წინათ პეკინის პრესა უგულებელყოფდა მას, ახლა სულ უფრო აშკარად ესხმის თავს, ამასთან ბრალდებები ყოველდღიურად მატულობს, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბიაოს სახალხო გაკიცხვა უახლოეს დროში მოხდება. ამ კამპანიის აშკარად ატყვია მაოს ხელი. სწორედ მაომ განსაზღვრა აღსასრული იმ ადამიანისა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

...პრობლემები, რომლებმაც მაოსა და ლინ ბიაოს შორის განხეთქილება გამოიწვია, საგარეოპოლიტიკური ხასიათისაა. ძირითადად ისინი შეეხებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, ეკონომიკას, არმიის ხასიათსა და როლს. მიმდინარე წელს პეკინის ხელისუფალთა მიერ გამოცხადებულმა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროგრამამ შეკვეცა არმიისათვის გამოყოფილი თანხები. სამხედროების უკმაყოფილება გააძლიერა პარტიის ცდებმა — ნაწილობრივ შეეზღუდა არმიის ძალაუფლება, რომელიც მათ შეძლეს მთელ ქვეყანაში მოეპოვებინათ.

შეიძლება სავსებით დასაბუთებულად მივიჩნიოთ, რომ ლინ ბიაო როგორც თავდაცვის მინისტრი ამ უკმაყოფილების გამომხატველი იყო და ახლა, როდესაც პარტიამ ამ ჭიდილში უპირატესობა მოიპოვა, იგი პირადად იხდის სარკს ყველაფრისათვის. მაგრამ თავდასხმებმა ლინ ბიაოზე იმდენად სასტიკი და კონკრეტული ხასიათი მიიღო, რომ მის უფრო სერიოზულ დანშაულზე გვიფიქრებინებს. ბიაოს ბრალი დასდეს არა მარტო იმაში, რომ იგი „კარიერისტი“, „ტრაბახა“ და „ცრუმარქსისტია“, არამედ ისიც კი განაცხადეს, რომ „შეთქმულების მონაწილეა“, რომ იგი ჩადგა „ბურჟუაზიის გენერალური შტაბის“ სამსახურში, რათა დაემხო „პროლეტარიატის დიქტატურა“, „გაეხრწნა და გაეთიშა პარტია“. ამ სიტყვებიდან იქამდე, რომ ლინ ბიაოს მოღალატე უწოდონ, ერთი ნაბიჯია.

...ლინ ბიაო, ეჭვგარეშეა, არ შემოიფარგლა პოლიტიკური ბრძოლით. მან, როგორც ჩანს, პირადი წყენა მიაყენა მაო ძედუნს. შესაძლოა იგი შეეცადა შეეტყუა მისი ძალაუფლება. გამორიცხული არ არის, რომ ლინ ბიაომ ხელი აღმართა მაოზე კი არა ჯოუ ენ-ლაიზე, რომელიც დღეს აუცილებლად სჭირდება მაოს თავისი ღიდი საგარეოპოლიტიკური გეგმის განხორციელებისათვის.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სიტუაცია ძალიან წააგავს იმს, რომელიც არსებობდა ჩინეთში „კულტურული რევოლუციის“ წინ. მაშინ დისკუსია აგრეთვე საგარეო პოლიტიკის პრობლემებით დაიწყო. მაშინაც არსებობდა ღიდი განხეთქილება ეკონომიკის მართვისა და არმიის ხასიათის გამო. მაშინაც გაჰყვიროდნენ, ისევე როგორც ეს გაიკეთა ჟურნალმა „ხუნციმ“ უკანასკნელ ნომერში, ბურჟუაზიული რესტავრაციის საფრთხეზე.

როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, დარწმუნებით შეიძლება ითქვას შემდეგი: მაო ძედუნი დღეს უფრო შეტად, ვიდრე ოდესმე, არის ის „ღმერთი“, რომელიც ყოველთვის ბოლო მომენტში მოდის. ჯოუ ენ-ლაის პოზიცია, რომელიც პირველ ხანებში გადამწყვეტი გვეჩვენებოდა სექტემბრის კრიზისის დროს, მაოს პოზიციასთან შედარებით მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა. და, ბოლოს, ლინ ბიაოს იგივე ბედი ეწია, რაც ჩინეთის იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც მანამდე შეეცადნენ მაოსადმი წინააღმდეგობას.

...ახლა ისღა გვრჩება გამოვარკვიოთ, ლინ ბიაოს შერისხვა თვითმიზანია თუ იმ უფრო ფართო გეგმის ნაწილი, რომელიც მაოს დიდი ხანია სურს ბოლომდე მოიყვანოს. თუ ჩინეთის უკანასკნელ წლების მოვლენებს ანალიზს გავუკეთებთ, დავინახავთ, რომ ისინი უპასუხებენ გარკვეულ ლოგიკას: კულტურული რევოლუციის მეშვეობით განთავისუფლდნენ ლიუ შაო-ცისაგან და მისი მემარჯვენე მომხრეებისაგან; სამხედრო რესტავრაციით, რომელიც ლინ ბიაოს ინიციატივით მოეწყო, მაომ დაამარცხა ჩენ ბო-და და მემარცხენე ჯგუფი. ახლა ჯოუ ენ ლაისა და სახელმწიფო აღმინისტრაციაზე დაყრდნობით მაო ცდილობს მოსპოს სამხედროთა ბატონობა.

მაგრამ ამგვარი მოქმედებით, ბრძოლის მეთოდებით, ერთმანეთს მიყოლებული წმენდით მაომ თავის ირგვლივ ვაკუუმი შექმნა... ჯგუფი, რომელიც მწვერვალზე დგას, შემცირდა, ამასთან გაძლიერდა მისი დაშორება იმ საფუძველისაგან, რომელსაც იგი ეყრნობოდა და რომელიც ძალან დაზარალდა „კულტურული რევოლუციისაგან“. სამხედროები, რომლებიც ქვეყანაში დამაკავშირებელი რგოლი იყვნენ, ახლა დამცირებულთა სკამზე სხედან.

და სწორედ ამ მომენტში, როდესაც ჩინეთი გამომწვევად გამოდის საერთაშორისო პოლიტიკის სცენაზე, მოითხოვს ადგილს, რომლის ღირსიც იგი არის თავისი დემოგრაფიული, ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობით, მის პოლიტიკური კლასი განიცდის ადამიანების ნაკლებობას და არ არის დარწმუნებული თავის იდეებში. მართალია, არის მაო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ ძალუძს კონტროლი გაუწიოს მდგომარეობას, მაგრამ რა მოხდება, როდესაც იგი მოკვდება?

ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ?

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ დამახასიათებელი რნიშანია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. მაგრამ ეს რიდი ხდება უმტკივნეულოდ. კლასობრივ ძალთა ჭიდილი დღითიდღე მწვავდება. ერთმანეთს ებრძვიან პროგრესისა და რეაქციის ძალები. იმპერიალიზმი არ თმობს თავის ძველ პოზიციებს და ჩვენს დროშიც გვეელინება ვ. ი. ლენინის კლასიკური ფორმულით — „რეაქცია მთელი ხაზით“.

და სწორედ იმპერიალიზმი ეუწვა დღეს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში კონტრრევოლუციის ექსპორტს, რეაქციულ სახელმწიფო გადატრიალებებს, ეროვნული და სარწმუნოებრივი შუღლის გაღვივებას, რასა ლაგბინი ამოსდის ამ ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას თავისუფლებისადმი. ამის მიზანია: იარაღის ძალით განვითარების კაპიტალისტურ გზაზე დააყენოს ყველა ისინი, ვისაც სურს იაროს მსოფლიოს განახლების გზით.

დღეს იმპერიალისტთა ვერაგობის ტიპიური მაგალითია მოვლენათა განვითარება პაკისტანში. მთელი მსოფლიო გაოცებულია პაკისტანის ამბებით: თითქმის 10 მილიონი ლტოლვილი პაკისტანიდან ნინდოეთის მიწაზე „გადასახლდა“. ეს უსწორესი ისტორიის უპრეცედენტო მოვლენაა. საინტერესოა, როგორ განვითარდა იგი?

გათიშეს და ებატონე — მუდამ იყო კოლონიზატორთა პოლიტიკის მთავარი იარაღი. იმპერიალისტებს არასოდეს ხელს არ აძლევდა ჩაგრული ერების გაერთიანება. ასე იყო წარსულში და ასეა ახლაც. ჯერ კიდევ 1947 წელს, როდესაც ინგლისელმა კოლონიზატორებმა ინდოეთს დამოუკიდებლობა უბოძეს, ინდოეთი დაყვეს ორ დომინიონად — ინდოეთად და პაკისტანად. 1956 წელს პაკისტანი რესპუბლიკად გამოცხადდა. კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაური გახდა პრეზიდენტი, ხოლო საკანონმდებლო ორგანო — ერთპალატიანი პარლამენტი. ერთი შეხედვით პაკისტანში მოვლენები თითქოს კარგად ვითარდებოდა.

მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებს არ მოსწონდათ პაკისტანის სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია. ამიტომ მათ 1958 წელს მოაწყეს ბონაპარტისტული სახელმწიფო გადატრიალება. მეელი ძალაუფლება ხელთ იგდო შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა მუჰამედ აიუბ-ხანმა. სამხედრო დიქტატორმა გააუქმა კონსტიტუცია, დათხოვა პარლამენტი და აკრძალა პოლიტიკური პარტიები. პაკისტანი ვადა იმპერიალისტთა აგრესიული პაქტების — სენტოსა და სეატოს აქტიური წევრი.

გავიდა დრო. პრეზიდენტმა მუჰამედ აიუბ-ხანმა ვერ გაამართლა დასავლეთის იმპერიალისტთა ყველა იმედი, ვერ გაანაღა დიდი ომი ინდოეთის წინააღმდეგ და მსოფლიოს პროგრესულ ძალთა ზიმოქმედებით იძულებული გახდა ხელი მოეწერა ტაშკენტის შეთანხმებაზე. რეაქციულმა ძალებმა ისარგებლეს ქვეყნის მიგნით კლასობრივი ბრძოლის უკიდურესად გამწვავებით, მებრძოლ კლასებს შორის ძალთა ერთგვარი გაწონასწორებით და კვლავ მოაწყეს ახალი სახელმწიფო გადატრიალება. ძალაუფლება ერთი დიქტატორისაგან კვლავ გადავიდა მეორე სამხედრო დიქტატორის ხელში. მაგრამ ამჯერად პრეზიდენტმა იახია ხანმა ისურვა თავისი ხელისუფლება კონსტიტუციური ილუზიებით შეიმოსა და ამ მიზნით დანიშნა ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნები. მაგრამ რა იცოდა, რომ საარჩევნო ყუთში ეროვნული განხეთქილების ბიულეტენი ჩავარდებოდა.

პოლიტიკური კრიზისი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს. 1970 წლის 7 დეკემბერს პაკისტანელები ქვეყნის ისტორიის მანძილზე პირველად მიეცენ საარჩევნო ყუთთან და ინტერესით მოელოდნენ არჩევნების შედეგად ახალი კონსტიტუციის მიღებას. არჩევნები ფაქტიურად მიმდინარეობდა ორ ქვეყანაში — აღმოსავლეთ და დასავლეთ პაკისტანში (ისინი ერთიმეორისაგან დაშორებულნ არიან 1600 კილომეტრით.).

ეროვნული კრების არჩევნებს ხელისუფალთათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. აღმოსავლეთ პაკისტანში გაიმარჯვა სრულიად პაკისტანის სახალხო ლიგის პარტიამ მუჯიბურ რახმანის მეთაურობით, ხოლო დასავლეთ პაკისტანში — სრულიად პაკისტანის სახალხო პარტიამ ზულფიკარ ალი ბუტოს მეთაურობით. მართალია, პარტიები სახელმწიფოებია. გარეგნულად ძნელი განსასხვავებელია ერთმანეთისაგან, მაგრამ სამაგიეროდ განსხვავებულია მათი პროგრამები.

პრეზიდენტ იახია ხანის 1970 წლის 30 მარტის ბრძანებით ეროვნული კრება მოვალე იყო 120 დღის (არჩევნების შემდეგ) განმავლობაში შეემუშავებინა და პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარედგინა ახალი კონსტიტუცია. მაგრამ ყოველივე ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. დემოკრატიული ძალებისათვის დაგებულ მახეში ფეხი რეაქციულ ძალებსაც გაებლანდათ. სახალხო ლიგასა და სახალხო პარტიას შორის კონსტიტუციის საკითხებზე თავიდანვე წარმოიშვა პრინციპული უთანხმოებანი.

სახალხო ლიგის პრეზიდენტი მ. რახმანი გამოვიდა მტკიცე პოზიციით, რომ მომავალ კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით აღნუსხულიყო ის ექვსი პუნქტი, რომლებიც პარტიის პროგრამით საჯარიო იქნა გამოცადებული 1966 წლის დასაწყისში. კერძოდ, სახალხო ლიგის პარტიის პროგრამა ითვალისწინებს რესპუბლიკის მოწყობას ფედერაციის პრინციპზე, პროვინციებისათვის და პირველ რიგში აღმოსავლეთ პაკისტანისათვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭებას, ამასთან ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდვას.

სახალხო პარტია პრინციპში დაეთანხმა ფედერაციული მმართველობის შექმნის იდეას. მაგრამ იგი მტკიცედ იცავდა ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის აუცილებლობას, რომელიც თითქმის არაფრით არ იქნებოდა შეზღუდული.

მაგრამ არჩევნების შედეგები, პარტიების უთანხმოება, პოლიტიკური კრიზისი დღევანდელ პაკისტანში მხოლოდ ზედაპირული მოვლენები როდია, მას ღრმა სოციალური ფესვები აქვს ქვეყნის ცხოვრებაში. და აი ამან წელს ადრე გაზაფხულზე ვულკანივით ამოხეთქა.

პაკისტანის დამოუკიდებლად გამოცხადების დღიდან (1947 წ.) მისი აღმოსავლეთ ნაწილი დასავლეთ პაკისტანთან შედარებით არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. თავიდანვე დასავლეთ პაკისტანის მმართველმა ბურჟუაზიულ-მემამულურმა ბლოკმა, განსაკუთრებით მისმა ზედაფენამ — ჰენჯაბის ბურჟუაზიამ განიზრახა ესარგებლა აღმოსავლეთ პაკისტანის სუსტად განვითარებული ეკონომიკის დონით და გადაექცია იგი ქვეყნის სანედლეულო დანამატად. განზრახ ამუხრუჭებდნენ იქ მრეწველობის განვითარებას, სოფლის ეკონომიკის ტექნიკურ აღჭურვას, რათა უფრ

რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია

ბერლინში გამოვიდა ქართული პოეზიის ანთოლოგია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ ბერლინში ამ დღეებში გერმანულ ენაზე გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია სათაურით „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“, რომელშიც, ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებთან ერთად წარმოდგენილია თითქმის ყველა ჩვენი მნიშვნელოვანი პოეტის რამდენიმე ნიმუში რუსთაველიდან დაწყებული დღემდე.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთოლოგიაში გამოქვეყნებული ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანები მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული (აწკარიდი გერმანულად მოამზადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ნელი ამაშუკელმა), რაც მთარგმნელთა დახვეწილ გემოვნებასა და ოსტატობაზე მეტყველებს. ამ პატრიოტული და საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში, —ქართული პოეზიის გერმანულად ამეტყველების ცდაში,— ადოლფ ინდლერსა და რაინერ კირშს შუალოდ ეხმარებოდნენ ცნობილი გერმანისტები და მთარგმნელები ნოდარ კაკაბაძე, ნელი ამაშუკელი, ნათელა ხუციშვილი, გივი მარგველაშვილი და რეზო ყარალაშვილი, რომლებმაც თავიანთი რჩევით, მონდომებითა და კონსულტაციებით ხელი შეუწყეს გერმანელ მწერლებს ქართველ პოეტთა ნაწარმოებების მაღალმხატვრულად თარგმნის სრულყოფაში.

მთარგმნელებსა და „ფოლკ უნდ ველტის“ გამომცემლობის მუშაკებს სათანადო პირობები შეუქმნეს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ. ამ კეთილშობილურ წამოწყებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე და რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვასტანგ კუპრავა.

ანთოლოგია იხსნება ქართული პოეზიის გვირგვინით — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგით, რომლის თარგმანი ჰერმან ბუდენზიგს ეკუთვნის. როგორც ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, ეს არის გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ბოლო (იმედი უნდა ვიქონიოთ არა უკანასკნელი!), მეექვსე ცდა ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერებისა, არტურ ლაისტის, მარია პრიტვიცის, მარტინ რიმანესა და ჰუგო პუპერტის თარგმანთა შემდეგ. ჰ. ბუდენზიგმა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ვერმანულ ენაზე ამეტყველებისათვის, მისი წინამორბედი მთარგმნელებისაგან განსხვავებით, შეგნებულად ჰეგზამეტრი გამოიყენა, რამაც საშუალება მისცა მას უფრო მიახლოებოდა დედანს. იგი ბუნებრივად ეძერს ამჟამად გერმანულ ენაზე, რაც უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია სხვა გერმანულ თარგმანებთან შედარებით.

მას მოსდევს ქართული ხალხური პოეზიის შედევრები „თავფარავნელი ჭაბუკი“, „კი ყმა“, „შენ ჩემო დედო იმედო“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „ლეკნი ვეფხისა და მოყმისა“ და სხვები, რომლებიც, მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, აგრძნობინებენ გერმანელ მკითხველს ჩვენი ხალხური სიუჟეტის უზადობასა და სიღიადეს.

XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოეზია წარმოდგენილია ოთხი პოეტით. ესენია: თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი და ბესიკი.

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსებიდან უცხოელი მკითხველი გაეცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას უკვდავ ნაწარმოებებს.

შედარებით ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედება. ანთოლოგიაში თავმოყრილია ა. აბაშელის, ს. შანშიაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ი. გრიმაშვილის, კ. ჭიჭინაძის, გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, კ. ნადირაძის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, კ. კალაძის, გ. კაჭახიძის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ა. შინგელიას, რ. მარგიანის, ლ. ასათიანის, მ. გელოვანის, ი. ნინეშვილის, შ. ფორჩხიძის, ლ. სულაბერიძის, მ. ლებანიძის, ხ. ბერულავას, ო. ჭელიძის, ა. კალანდაძის, მ. ქვლივიძის, ნ. გურეშიძის, მ. მაჭავარიანის, მ. ფოცხიშვილის, ჯ. ჩარკვიანის, ო. ჭილაძისა და ლ. სტურუას საუკეთესო ლექსები.

როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ჟურნალ „ზინნ უნდ ფორმის“ 1970 წლის მეექვსე ნომერი (იგი ორ თვეში ერთხელ გამოდის) თითქმის მთლიანად საქართველოს მიეძღვნა. ჟურნალის ფურცლებზე, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ბუდენზიგისეული თარგმანისა, გამოქვეყნებულია ქართული პოეზიის რამდენიმე შესანიშნავი ნიმუში, აგრეთვე დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ვ. გაფრინდაშვილის, ი. გრიმაშვილის, კ. ჭიჭინაძისა და გ. ტაბიძის ლექსები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: მიმდინარე წლის ივნისში, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების 62-ე კონგრესის მიმდინარეობისას, ქ. ვაიმარში, შეეხვდით ჟურნალ „ზინნ უნდ ფორმის“ მთავარ რედაქტორს, პროფესორ ვილჰელმ გირნუსს, რომელმაც ქართველ გერმანისტებთან — ოთარ ჯინორიასთან, დავით ლაშქარაძესთან, ნოდარ კაკაბაძესთან და ამ სტრიქონების ავტორთან საუბარში გულახდილად თქვა: მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენი ჟურნალის ერთი ნომერი მივუძღვენით ქართულ კულტურას. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გამოძახილი ჰპოვა მან როგორც ჩვენში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ოფიციალური რეცენზიებისა, რედაქციამ ბევრი წერილი მიიღო მკითხველთაგან, რომლებიც თავიანთ აღფრთოვანებას გვიზიარებენ...

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ უფრო დიდ გამოძახილს ჰპოვებს სარეცენზიო წიგნი, რომელიც ბევრად ფართო წარმოდგენას მისცემს უცხოელ მკითხველს მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შესახებ.

წიგნს წამძღვარებული აქვს პოეტისა და მთარგმნელის ადოლფ ინდლერის საკმაოდ მოზრდილი ნარკვევი „ზოგი რამ ქართული პოეზიის შესახებ“ (გვ. 5—56), რომელიც გერმანელი ლირიკოსი პოეტის საინტერესო და სერიოზული გამოკვლევაა. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი კომპილაცია კი არ არის, არამედ საკუთარი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად, შრომის ავტორი ქართველ პოეტებს სხვა პარალელებს უძებნის და სხვანაირ აქცენტირებებს ახდენს, რაშიაც მას, შესაძლებელია, არ დაეთანხმოს ბევრი ჩვენი კრიტიკოსი და ლიტერატურის სპეციალისტი, მაგრამ გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ქართულ პოეზიასთან უცხოელი მწერლის დამოკიდებულებაში აშკარად ჩანს ნიჭიერი შემოქმედის დაკვირვებული თვალი. ა. ინდლერი ზოგადად მიმოიხილავს ჩვენს მწერლობას რუსთაველის ეპოქიდან დღემდე. დ. გურამიშვილის შემოქმედებას ზოგიერთ მოტივს იკი მოხდენილად ადარებს XV საუკუნის ცნობილი ფრანგი პოეტის ფრანსუა ვიიონისა და XVIII საუკუნის გერმანელი პოეტის ქრისტიან გიუნთერის შემოქმედებას, რაც მომავალში უთუოდ გასათვალისწინებელია ჩვენი სპეციალისტებისათვის. ნარკვევის ავტორი მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით ეხება როგორც კლასიკოსთა, ისე თანამედროვე ქართველ პოეტთა ნაწარმოებებს, რითაც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის გერმანელ მკითხველს მათს შემოქმედებაზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ანთოლოგიაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები, კრიტიკული ნარკვევი, ქართული საკუთარი სახელები, ქართველ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, საქართველოს გეოგრაფიული ადგილების დასახელებანი, კომენტარები და სხვა, თითქმის უმეცდინოდ, ულაფსუსოდ არის წარმოდგენილი, რაც მთარგმნელთა და გამომცემლობის მთავარი რედაქტორის, ჩვენი კულტურის უანგარო მეგობრის ლეონიძარდ კომუტისა და მისი თანამშრომლების უტა პაპენდიკისა და ილზე კრეტციგის დიდ დამსახურებად მიგიჩნია.

წიგნი, რომელიც 340 გვერდს შეიცავს, შესანიშნავად შრიფტით არის დაბეჭდილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

„რვასაუკუნოვანი ქართული პოეზიის“ გამოცემა გერმანულ ენაზე, ქართველი და გერმანელი ხალხების მეგობრული და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

ვ. კახნიაშვილი.



საკვეყნოდ გაითქვა სახელი საქართველოს ერთ-ერთმა კეთილმოწყობილმა კურორტმა წყალტუბომ. წლის ყოველ დროში აქაური სამკურნალო წყაროებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები, უცხოელი სტუმრები. მარტო წელს წყალტუბომ სტუმართმოყვარულად გაუღო კარი 100 ათასამდე ადამიანს. ს ურ ა თ ზ ე: წყალტუბო. დამსვენებლები № 6 წყაროსთან.

ფოტო გ. ბერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ვ. იოსელიანი

ქართველი ბიბლიოთეკარი

გარდაიცვალა საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილეშორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გიორგი ვარლამის-ძე იოსელიანი.**

გ. იოსელიანი დაიბადა 1913 წელს წყალტუბოში, გლეხის ოჯახში. ქუთაისის სამშენებლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1931 წელს შრომითის საქმიანობას იწყებს კურორტის ბალნეოლოგიურ განყოფილებაში. 1933-1935 წლებში წყალტუბოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანია. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე წყალტუბოს სამომხმარებლო კოოპერაციისა და დამზადების კანტორის უფროსი იყო.

მშრომელთა სიყვარულით გარემოსილი, ნიჭიერი მუშაკი გ. იოსელიანი 1939 წელს ინსტრუქტორად გადაჰყავთ პარტიის წყალტუბოს რაიკომში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ახალგაზრდა პარტიულმა მუშაკმა. შემდეგ მას აწინაურებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1943-46 წლებში გ. იოსელიანი ისევ პარტიულ სამუშაოზეა, არის პარტიის წყალტუბოს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. 1948-50 წლებში კი მუშაობს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ.

გამოცდილ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს გ. იოსელიანს 1950 წელს ირჩევენ ქვილეშორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ, რამდენიმე წლის შემდეგ კი წყალტუბის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელად. 1966 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ისევ ქვილეშორის კოლმეურნეობას ეღგა სათავეში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებისა და საქმეში.

ღვაწლმოსილი მუშაკი გ. იოსელიანი რამდენჯერმე იყო არჩეული პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად და ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად. არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატად. მიღებული ჰქონდა რამდენიმე მედალი, დაჯილდოებული იყო ოგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლით.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, გ. იოსელიანი გამოირჩეოდა სისპეტაკით, პრინციპულობით, თავმდაბლობით, იგი მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, გამოცდილებას ახმარდა მშობლიური პარტიისა და ხალხის საქმეს, მშრომელებში დამსახურებულად სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით.

საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ხელმძღვანელის, შესანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის — გიორგი ვარლამის-ძე იოსელიანის სახელი მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მეგობრების, მშრომელთა ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

„ჭადრაკი“ № 2

გამოვიდა ალმანახ „ჭადრაკის“ მეორე ნომერი. მასში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **ე. გუფელდას — სპასკის** პროგნოზზეში გამართლდა, **გ. გამრეკელის** ნარკვევი ნ. ალექსანდრიაზე, **ა. ფირცხალავას** წერილი, მიძღვნილი მ. ბოტვინიკის დაბადების 60 წლისთავისადმი, **ნ. ალექსანდრიას, ბ. გურგენიძის, თამაზ გიორგაძის, თ. კიკვინის, ა. ბუსლაევის, მ. შიშოვის** წერილები სხვადასხვა საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებათა შესახებ.

დებიუტების თეორიის განყოფილებაში საყურადღებოა **ე. გუფელდის** სტატია „დებიუტის გეგმა მიტელშპილის სტრატეგიაში“. **თენგიზ გიორგაძე** მეთოდურ განყოფილებაში წერს კაპაბლანკას ერთ-ერთი სტრატეგიული იდეის შესახებ.

ალმანახში მოთავსებულია არაერთი საინტერესო პარტია და ფრაგმენტი, განყოფილებები „ჩვენს დიად სამშობლოში“, „ჩვენს რესპუბლიკაში“, „ყოველი მხრიდან“. კომპოზიციის კუთხეში ვ. ნეიძე წერს ცნობილი ავსტრიელი პრობლემისტის ნოვოტნის შესახებ.

ალმანახი კარგად არის ილუსტრირებული.

ჭეშმარიტება — უპირველეს ყოვლისა

პროფესორ ლ. გოკიელის 70 წლისთავის გამო

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მათემატიკის ისტორიისა და დაფუძნების კათედრის ყოფილ გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ლევან პეტრეს-ძე გოკიელს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

ლ. გოკიელი 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია (მათგანი 2 სახელმძღვანელო, 5 მონოგრაფია, რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა). მაგრამ ეს არც ისე პატარა რიცხვი „50“ მუდან მცირე ინფორმაციას შეიცავს იმათთვის, ვინც პროფ. ლ. გოკიელის სამეცნიერო მოღვაწეობას სულ არ იცნობს. სამაგიეროდ, ყოველი ადამიანი, რომელსაც პროფ. ლ. გოკიელის ერთი ლექციამოსმენია ან მისი ერთი წიგნი მაინც წაუკითხავს, დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი შინაარსის შემცველია ის, რის რაოდენობრივ დახასიათებას იძლევა რიცხვი „50“.

პროფ. ლ. გოკიელის ლექციებსა და წიგნებზე როგორც მათემატიკოსების, ისე სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლების არა ერთი თაობა აღიზარდა.

პროფ. ლ. გოკიელისაგან ახალგაზრდა არა მხოლოდ იძენს ცოდნას, ეუფლება აქმადე უცნობ ცნებას თუ ჭეშმარიტებას, არამედ იგებს, თუ რას ნიშნავს თვითონ ცოდნა, სწავლა, აზროვნება, სწორი, დასვეწილი, ლოღიკურად სრულყოფილი, მკაცრი მსჯელობა; შეიგნებს ჭეშმარიტების ფასს, იმსჭვალება ჭეშმარიტებისადმი სიყვარულითა და მოკრძალებით.

პროფესორ ლევან გოკიელ ი ს შრომების გაცნობა გაფიერნებინებს, რომ ის არა მხოლოდ გონებით განჭვრეტს დაპირისპირებულ ცნებათა დიალექტიკურ ერთიანობას, არამედ უშუალოდ აღიქვამს, გრძნობს მას. ეს ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია იმათთაგან, რომელთაც განაპირობეს პროფ. ლ. გოკიელის კვლევის მეთოდის სიმძლავრე, მეცნიერული შედეგების ო რ იგინალურობა და დიდი მეცნიერული და ზოგად ფილოსოფიური მნიშვნელობა. არ ეარჩენილა მათემატიკის, მისი დაფუძნების, ლოგიკის, ფილოსოფიისა და მათი ურთიერთმიმართების არც ერთი ზოგადი მნიშვნელობის ცნება, პრობლემა თუ ჭეშმარიტება, რომელიც პროფ. ლ. გოკიელის სერიოზული კვლევის საგანი არ ყოფილიყოს და რომლის შესახებაც მას ღრმა და ორიგინალური აზრი არ გამოეთქვას.

კერძოდ, პროფ. ლ. გოკიელმა თავის შრომებში მოგვცა ღრმა და ორიგინალური ანალიზი მათემატიკის დაფუძნების, ლოგიკისა და საზოგადოდ მათემატიკის ფილოსოფიის ისეთი ცნებების, კატეგორიებისა და საკითხებისა, როგორიც არის: რაოდენობა და თვისება, იგივეობა და სხვაობა, ცნების შინაარსი და მოცულობა, ფორმა და შინაარსი, ზოგადი და კერძოული, სასრული და უსასრულო, სიმრავლე, რიცხვი, ცვლადი, ფუნქცია, უსასრულოდ მცირე, არსებობა, მათემატიკისა და ლოგიკის ურთიერთმიმართება, ჭეშმარიტების ბუნება.

აზროვნების დიალექტიკური მეთოდი პროფ. ლ. გოკიელის მეცნიერული კვლევის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ეჭვიძლება ითქვას, რომ ის ამ მეთოდის მომარჯვების იშვიათი ოსტატია.

პროფ. ლ. გოკიელის შრომებში რთულ კატეგორიათა შინაგანი ბუნების გახსნას, რთულ საკითხთა კვლევას, მათემატიკაში წარმოშობილი ანტინომიების, პარადოქსებისა და სხვა სახის წინააღმდეგობათა მოხსნას საფუძვლად უდევს დაპირისპირებულ ცნებათა ერთიანობის დიალექტიკური ხასიათის არა მხოლოდ დეკლარაციული აღიარება, არამედ მისი ღრმა, შემოქმედებითი გაგება და გამოყენება.

დიდი მეცნიერის — ლ. გოკიელის თითქმის ყოველი მეცნიერული ნაშრომი — მისი კვლევის ყოველი შედეგი იმ საერთო აზრის კონკრეტული ილუსტრაცია და დადასტურებაა, რომ ცნებათა სამყაროში არსებული დიალექტიკურ ურთიერთობათა სწორი, ადეკვატური ასახვისათვის აუცილებელია თვითონ აზროვნების პროცესი — კვლევის მეთოდი — იყოს დიალექტიკური: დაპირისპირებულ ცნებათა არა ხელოვნური გაერთიანება, არა მათი მეტაფიზიკური დაპირისპირება, არამედ მათი დიალექტიკური ბუნების გათვალისწინება და მასზე დაყრდნობა — აი კვლევის, ჭეშმარიტების დადგენის, პარადოქსების მოხსნის ერთ-ერთი სწორი გზა.

პროფ. ლ. გოკიელის შრომებში დასაბუთებულია აზრი, რომ ანტინომიებისა და პარადოქსების უმრავლესობა არა ობიექტურად არსებული წინააღმდეგობებია, არამედ სათანადო საკითხებისადმი მეტაფიზიკური მიდგომის შედეგია.

პროფ. ლ. გოკიელის მეცნიერული კვლევის შედეგებში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მიერ შექმნილი ე. წ. ძირეული დასკვნების თეორიას, რომელიც შეჯამებული სახით გადმოცემულია მის მონოგრაფიაში, „ლოგიკურნი ბუნებისათვის“ (რუსულად).

ეს ნაშრომი დიალექტიკური მეთოდის მომარჯვების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მისი ღრმად ორიგინალური, მათემატიკისა და ლოგიკის ურთიერთმიმართების რთული პრობლემის ახლებურად გაგების მაუწყებელი მთავარი იდეა (დედა-აზრი) იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მეცნიერების აქსიომატური აგება ეყრდნობა ლოგიკას — ლოგიკური გამოყენის (დამტკიცების) თეორიას, რის გამოც აზრი არა აქვს თვითონ ლოგიკის აქსიომატიზაციის ცდას — ლოგიკა უნდა აგებულ იქნას არააქსიომატური გზით, სახელდობრ, ე. წ. ძირეულ დასკვნათა ცნებაზე დაყრდნობით.

პროფ. ლ. გოკიელი ამ მიდგომას ახორციელებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნებათა და საკითხთა მიმართ, რის შედეგადაც იძლევა მათს ღრმა ანალიზს, კერძოდ იძლევა მთელი მათემატიკის უძირითადეს ცნებათა — ცვლადისა და უსასრულოდ მცირის ცნების — დიალექტიკური ბუნების ღრმა დახასიათებას; გვიჩვენებს, რომ უსასრულოდ მცირე — ეს ზედმიწევნით ღრმა შინაარსის მქონე ცნება — ნულის ორმაგი უარყოფაა, რომ ის ორმაგი ბუნებისაა, რითაც, ამ მაგალითზე, ადასტურებს აზრს, რომ ორმაგი უარყოფა არაა უარყოფილის უბრალო აღდგენა.

მათემატიკის დაფუძნების, ლოგიკისა და ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე მეტაფიზიკურ, იდეალისტურ და რეაქციულ მოძღვრებათა და შეხედულებათა დიალექტიკური ლოგიკის პრინციპებზე აგებულ მკაცრ და მართებულ კრიტიკას პროფესორმა ლ. გოკიელმა არაერთი შრომა მიუძღვნა.

მეტად დიდია პროფესორ ლ. გოკიელის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა. ის მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სამეცნიერო საბჭოს წევრია. მთელი რიგი წლების განმავლობაში ის იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი, დაარსებიდან ბოლო წლებამდე ხელმძღვანელობდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ-ფილოსოფიურ სემინარს. ყველა ამ უბანზე ის არასოდეს ლაღატობდა თავის ინტელექტუალურ და მეცნიერულ „მეს“, ყველგან იჩენდა საკმისაადმი მისთვის ჩვეულ სიყვარულსა და თავდადებას. დიდი კულტურულ-აღმზრდელობითი როლი შეასრულეს მისმა მაღალი ოსტატობით დაწერილმა სამეცნიერო-პოპულარულმა ბროშურებმა, მასობრივ პრესაში გამოქვეყნებულმა სტატიებმა, ლექცია-მოხსენებებმა.

უკვე ჰპოვეს საყოველთაო აღიარება პროფესორ ლ. გოკიელის შრომებმა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მისი დეგიზია: ჭეშმარიტება უპირველეს ყოვლისა; მთელი მისი შემოქმედებაც ამის ნათელი დადასტურებაა.

ბუნება საკმაოდ გულუხვი გამოდგა ლ. გოკიელის მიმართ, მოამადლა მას მაღალი სული და მძლავრი გონება. ყველა მისი მადლიერი მოწაფის სახელით გულითადად ვუსურვებთ ლ. გოკიელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ, რომ იყოს ჯანმრთელი და დღეგრძელი, რაც მისი მომავალი, ჭეშმარიტად ადამიანური ბედნიერების — შემოქმედებითი სიხარულის საწინდარია.

პროფ. პლ. კოლონია,
პროფ. ბ. ლომაძე,
პროფ. ლ. მაღნარაძე.

კრიტენდენტთა ფინალური მატჩი

კვლავ მარცხის წინაშე

კისლოვოდსკი. 13 დეკემბერი (ტელეფონით სპეც. კორ.). მართალია, დღეს ალა კუშნირ-ალექსანდრიას მატჩის მე-9 პარტია გადაიდო, მაგრამ იგი შესაძლებელია პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ბოლო ადგილზედეს, რადგან თეთრებს (ა. კუშნირი) დიდი მატერიალური უპირატესობა გააჩნიათ.

ალა მოკლედ პარტიის მსვლელობაზე. ნ. ალექსანდრიამ შავებით ჰოლანდიური დაცვა აირჩია. გარკვეულ მომენტამდე შავები საშინაო ანალიზის მიხედვით თამაშობდნენ, მაგრამ მეათე სვლაზე მათ უსაფუძვლოდ გადაუხვიეს წინასწარ მომზადებულ ვარიანტს და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდნენ. ნ. ალექსანდრიას ეტლის დათმობა მოუხდა. ა. კუშნირს შეეძლო უკეთ გამოეყენებინა მატერიალური უპირატესობა, მან კი გადაწყვიტა უკან დაბრუნებინა ფიგურა. სწორედ აქ მოხდა სრულიად გაუგებარი რამ, შავებმა დაიბლოკეთ ოცი წუთის ფიქრის შემდეგ უარი თქვეს მხედრის აყვანაზე და გადაწყვიტეს ძცირე ძალების მოწიანაღმდეგის მეფის დალაშქვრა. ა. კუშნირმა ადვილად მოიგერია ეს ფუქარა და უპირატესობა შეინარჩუნა.

ეი გადადებული პოზიცია:

თეთრები (ა. კუშნირი) — **მფe1, ეc7, კc3, მf6 პ3:a2, b2, d5, g3, h2.**

შავები (ნ. ალექსანდრია) — **მფd8, ლd8 პ3:a7, b7, d6, g4.**

41-ე სვლა ჩაიწერა ა. კუშნირმა. პარტიის დამთავრება შედგება 14 დეკემბერს.

ე. უბილავა,
ოსტატი.

„ინტერვიზიის თასი“ — მსოფლიოს ჩემპიონს

უნგრეთის ქალაქ სომბათხეში ორ დღეს გრძელდებოდა „ინტერვიზიის თასის“ გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ბრძოლა წარიმართა ბულგარეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა შორის, კერძოდ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონ მარია გიგოვასა და ალა ზასუხინას შორის.

წარმატებით გამოვიდა მ. გიგოვა. მან 38,55 ქულით „ინტერვიზიის თასი“ მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ა. ზასუხინამ — 38,55 ქულა.

რვა ტურის შემდეგ

იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა ბანიაში გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. აქ უკვე გათამაშდა 8 ტური. მერვე ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ერესკას.

ლიდერია ივანკა — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ვერეცინს 5,5 ქულა აქვს, კონარკოვსკა-სოკოლოვას, გეორგიევას, პოლიქრონიადესა და ერესკას — 5,5 ქულა, გაფრინდაშვილს — 4,5 ქულა.

კალათბურთის ფართან

შაბათსა და **კვირას** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებისათვის.

მოსკოვში 11 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. მძაფრ ბრძოლაში წარმატება მოსკოველებს ხელათ 69:65 (40:36).

ლენინგრადში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ადგილობრივი „სპარტაკი“ შეხვდა კიევის არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელებს და გაიმარჯვა 64:47 (47:24).

კიევის „სტროიტელმა“ მოუგო ვოლნიუსის „სტატიბას“ 80:60 (40:28).

კვირას ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელებმა დაამარცხეს თბილისის დინამოელები 97:66 (54:22).

ᲠᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია).

25 დეკემბერს, დღის 4 საათზე **ავთანდილ დიმიტრის-ძე პატარაია** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„არაწრფივი ტალღები მრავალკომპონ ენ ტ ი ან პლაზმაში“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია)

29 დეკემბერს, დღის 2 საათზე **ივანე შალვას-ძე ქორდანია** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება, კლასიფიკაცია და სამართლებრივი მნიშვნელობა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲚᲘᲗᲐᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია).

25 დეკემბერს, დღის 4 საათზე **ავთანდილ დიმიტრის-ძე პატარაია** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„არაწრფივი ტალღები მრავალკომპონ ენ ტ ი ან პლაზმაში“.**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, № 107 აუდიტორია)

29 დეკემბერს, დღის 2 საათზე **ივანე შალვას-ძე ქორდანია** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება, კლასიფიკაცია და სამართლებრივი მნიშვნელობა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲠᲐ ᲕᲬᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 დეკემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.00 — მხატვრული ფილმი „ჩაიკოვსკი“ (პირველი სერია), 17.05 — ობიტურინტთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.10 — ახალი ამბები, 18.15 — ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „გა